სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის

IX კლასის მოსწავლეები: მარიამ ქავთარაძე და თამარ ციხელაშვილი

„სიტყვის ძალა“

<u>თავდაპირველად...</u>

ახალი ოჯახი... ახალი გარემო... ახალი იმედები... ახალი გეგმები...

<u>შემდგომში...</u>

გაურკვევლობა, რაღაც ისე არ არის... ალბათ იმედგაცრუება?!...

<u>განუწყვეტლივ...</u>

ხომ არ შეიძლება ყოველდღე ერთი და იგივე განმეორდეს?

დიახ, რამდენი ხანია ერთი და იგივე ფიქრები, ერთი და იგივე ტკივილი სულისა და ხორცისა, თან მდევდეს, არ მშორდებოდეს და ისე იმკვიდრებდეს ადგილს ჩემში, ისე იდგამდეს ფესვებს იკავებდეს „ ჩემს სივრცეს “ რომ, არც აღარაფრის ადგილს აღარ ტოვებდეს ამქვეყნიურისას. ისე მავსებს ეს ყველაფერი რომ ზოგჯერ ვფიქრობ, იქნებ ვეღარ შევძლო ამ ცხოვრების „საჩუქრების“ გარეშე ცხოვრება.

<u>ისევ განუწყვეტლივ...</u>

მათოვს და მათოვს „საჩუქრები“ , თოვლი და ჭყაპია ჩემს სულში, იმედი კი სადღაც ქრება .

<u>მიზეზები...</u>

ამდენი ლანძღვა, დამცირება , უაზრო ეჭვები, დაუმსახურებელი შეურაცხყოფა, ჩემი უსუსურობა, პასუხგაუცემელი შემოტევები მეუღლისგან. ოხ რა მტკივნეულია...

<u>წამით ,მხოლოდ წამით....</u>

ამ ჭყაპა–ჭყუპმა წამით ოდნავ გამომაფხიზლა და ვფიქრობ.....
ჩემი მშობლები?– არა, არ მინდა ჩავრიო და ავაფორიაქო.

ახლობლები? მეგობრები?–იქნებ ვერც გამიგონ.
სახელმწიფო? სასამართლო? უფლებები? უფლებადამცველები?....
რა ვიცი, რა გითხრათ?! ძალა აღარ მაქვს, რა გავაკეთო? როგორ მოვიქცე?

ბუნებამ გამოიზამთრა...ვგრძნობ და მესმის.....

მხოლოდ ყღურტული არა – ახლა ჩიტუნებიც ჭიკჭიკებენ.
მერცხლების გუნდი ერთად შეკრული ერთმანეთს სიხარულს უზიარებენ, ერთმანეთის გვერდით არიან.

ცისფერ ეკრანზე ჩანს მონაცვლეობით რაღაც სახეები და მესმის ბუნდოვნად: ნუ დაითრგუნები, ნუ გეშინია, უფლება არ გაქვს დამარცხების...

რაღაცამ გამოიღვიძა.....

ცრემლი წამოვიდა თვალიდან .....

მეც ხომ მყავს მეგობრები? იქნებ ერთ–ერთს მაინც მივაწვდინო ხმა...

ტკივილის გაზიარება...

მოსმენა გაუჭირდა, შეძრა ყოველივემ, თვალები აემღვრა, წამით ისიც დაიბნა, შემდეგ ფეხზე წამოდგა და დადუმდა...

მე აღარ ვიცი რა ხდება...

ისეთნაირი თანმიმდევრობით, თანდათან გაერთიანდა ყველა ერთი პრობლემის გადასაჭრელად როგორც მაგალითად რწყილში და ჭიანჭველაშია. იქ ჭიანჭველას გადასარჩენად ყველამ თავისი წვლილი შეიტანა, ოღონდ ისე, რომ ყველამ სარგებელი მოითხოვა, მაგრამ აქ პირიქით, დანაშაულის გრძნობაც კი გაუჩნდათ – აქამდე საქმე როგორ მივიყვანეთო, თავი მოვალედ იგრძნეს, თუმცა სარგებელი ხომ დანაშაულის გრძნობისგან განთავისუფლებაა. მოვალეობის შესრულებაც ხომ სარგებელია და იმ გარემოცვაში ცხოვრება, სადაც ჯანსაღი აზრი სუფევს, სადაც ყველას სული ჯანმრთელია, სადაც ყველა თავისი უფლებებით ცხოვრობს. ეს ხომ თითოეული ადამიანის მონაპოვარი და სარგებელია. ერთი პრობლების მოგვარებით შეპყრობილმა საზოგადოებამ ამიღო ხმა და გაჩნდა თანადგომა.

ახლა უკვე ...

აღარანაირი დამცირება, შეურაცხყოფა, უსუსურობა და ტკივილი.

სიტყვის ძალა...

ყველამ თითო სიტყვა თქვა, ამით მართლა თითო ძაფი გაიჭიმა. ჩემი, როგორც ქალის უფლებების ბადის მოსაქსოვდ და დასაცავად, ჩემს დასაბრუნებლად საზოგადოებაში მათივე გვერდით ...

მე უკვე ერთ–ერთი მათგანი...

მე მივხვდი რომ არ ვარ სუსტი, რადგან ქალი მქვია, მე ბევრი რამ შემიძლია და იმაზე ძლიერი ვარ ვიდრე ეგონა...

მე აღარ დავიჩაგრები! ვეღარ მომაყენებენ შეურაცხყოფას!

ახლა უკვე მივხვდი რომ, მე არ ვარ მარტო! საზოგადოება ჩემს გვერდითაა და მეც მისი ნაწილი ვარ.

ახლა უკვე ცისარტყელაც ნაირფერია და მზადაა „სხვა ცისარტყელების“ გასაფერადებლად.

ბედნიერება...

ზოგჯერ, როგორც იტყვიან, საგონებელში ჩავვარდებით, ვყოყმანობთ, თავს ვიმტვრევთ, არ ვიცით რა გზას დავადგეთ – და მერე, თუნდაც ამოვირჩიოთ ერთი გზა, უეცრად უხილავი ძალა ხელს გვკრავს და სულ სხვა გზაზე გაგვიყვანს. ხშირად გონება, სურვილი, მისწრაფება და მოვალეობაც კი მოგვიწოდებს ჩვენ მიერ არჩეულ გზას გავყვეთ, მაგრამ ისე ძლიერად მოქმედებს ჩვენს სულზე რაღაც უხილავი ძალა, რომლის ასავალ–დასავლისა ჩვენ არა გაგვეგება რა, რომ გეზს შეგვიცვლის და პირველად არჩეულ გზაზე, რომლითაც ჩვენი წარმოდგენით, უსათუოდ უნდა გაგვევლო, ნამდვილად დავიღუპებოდით და დავიკარგებოდით.

და დასრულდა ცხოვრების ერთ–ერთი ეტაპი, ეტაპი რომელიც განგებამ მრავალნაირი ფერით ააჭრელა, დაიწყო უბედურად, მაგრამ ხალხის თანადგომით დასრულდა ბედნიერად. ადამიანების და საზოგადოების გარეშე ვერ ვიქნებოდი და ვერ დავძლევდი ამ ყველაფერს.

~

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის

IX კლასის მოსწავლეები: მარიამ ქავთარაძე და თამარ ციხელაშვილი